

მიზნები

- ✓ განახორციელოს შრომის ბაზარზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები;
- ✓ დაგეგმოს და განახორციელოს შრომის ბაზარზე ორიენტირებული პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამები;
- ✓ იზრუნოს ინკლუზიური სასწავლო გარემოს გაუმჯობესება-განვითარებასა და გენდერულ თანასწორობაზე;
- ✓ გააძლიეროს ბაზრის საჭიროებების კვლევის კომპონენტი, ბაზრის რეალური საჭიროებების დადგენის მიზნით;
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში, ხელი შეუწყოს დამსაქმებელთა მონაწილეობას, მაქსიმალურად გაითვალისწინოს დაინტერესებულ მხარეთა საჭიროებები და ინტერესები;
- ✓ იზრუნოს პედაგოგიური პერსონალის პროფესიულ ზრდასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე;
- ✓ იზრუნოს გენდერული თანასწორობის და ზოგადად, გენდერის შესახებ როგორც ახალგაზრდების, ასევე პედაგოგების ცოდნა და კომპეტენციების გაზრდაზე;
- ✓ გამოიყენოს სწავლების თანამედროვე მეთოდები, შექმნას შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და იზრუნოს მუდმივი განახლებისათვის, სტანდარტების შესაბამისად;
- ✓ ხელი შეუწყოს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მოდელის აქტიურ დანერგვას სხვადახვა მიმართულებით.